

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მომზადება განპირობებულია იმ გარემოებით, პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც საქმე, რომლის თაობაზეც მიმდინარეობს სამოქალაქო სამართალწარმოება, ფაქტობრივი ან სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება, დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000000 ლარს და სამოქალაქო პროცესში მონაწილეობს სახელმწიფო ორგანო. ასეთი შემთხვევები სახელმწიფო ორგანოთა მობილიზებას და შეთანხმებულ მოქმედებას მოითხოვს. წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ასეთი კატეგორიის საქმეებზე სასამართლოში წარმომადგენლობის მიზნით იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლის ჩართვას, რაც გამორიცხავს თავად ამ ორგანოს წარმომადგენლის მონაწილეობას იმავე სამოქალაქო სამართალწარმოებაში.

საკითხის მსგავს რეგულირებას ითვალისწინებდა „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 30 ოქტომბრის №471 ბრძანებულებაც, რომლის მე-2 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლობის უზრუნველყოფა სასამართლოებში იმ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ დავებზე, რომელთა სარჩელის ფასი აღემატებოდა ერთ მილიონ ლარს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია შინაარსობრივი და ფინანსური თვალსაზრისით განსაკუთრებით რთული და მნიშვნელოვანი კატეგორიის საქმეებზე სასამართლოში სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლობის მოქნილი და ეფექტური მექანიზმის ჩამოყალიბება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლი ახალი რედაქციით ყალიბდება. აღნიშნულ მუხლს ემატება ნორმა, რომლის თანახმად, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000000 ლარს ან/და საქმე ფაქტობრივი ან სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება და სამოქალაქო პროცესში მონაწილეობს სახელმწიფო ორგანო, იგი მიმართავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, რომელიც უფლებამოსილია მოითხოვოს სამოქალაქო სამართალწარმოებაში ამ ორგანოს წარმომადგენლად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამდებობის პირის ან სახელმწიფო მოსამსახურის დანიშვნა. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ორგანო არ არის უფლებამოსილი იმავე საქმეზე

მიანიჭოს წარმომადგენლობის უფლებამოსილება იმ თანამდებობის პირს ან სახელმწიფო მოსამსახურეს, რომელიც ამ ორგანოში მსახურობს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მიღება

არ იწვევს ფინანსურ შედეგებს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტი არ აღგენს რაიმე გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღებით არ იცვლება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ნოტარიუსთა პალატამ.

დ.ბ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია პარლამენტის წევრები პავლე კუბლაშვილი და მურთაზ ზოდელავა.

დ.გ) კანონპროექტის ინიციატორი
კანონპროექტის ინიციატორია პარლამენტის წევრები პავლე კუბლაშვილი
და მურთაზ ზოდელავა.